# ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ74. 7424269001**

თარიღი:**25/09/2024**

**ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54- ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ და „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 აგვისტოს Nგ-75.7524235001 განკარგულებისა და 2024 წლის 2 სექტებრის Nგ-75.75242464 განკარგულების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით დანართი N1 -ს შესაბამისად.
2. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა, უზრუნველყოს ელექტრონული აუქციონის გამოცხადება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

# ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**g-75. 7524235001**

თარიღი:**22/08/2024**

**„ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 თებერვლის N g-75.7524060001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, მეორე პუნქტისა და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:**

**მუხლი 1.**

შეტანილ იქნას ცვლილება „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 თებერვლის Ng-75.7524060001 განკარგულებაში და პირველი მუხლით დამტკიცებული ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დანართს დაემატოს შემდეგი დასახელების უძრავი ქონება:

1. ქ. ტყიბულში გამსახურდიას ქუჩა N30-ში მდებარე უძრავი ქონება (ყოფილი არქივი) უძრავი ქონება ს/კ 39.01.03.023.01.501.

2. ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძევრის მიმდებარედ არსებული 6024 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 39.03.39.034.

**მუხლი 2.**

დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს საპრივატიზაციო გეგმის შექმნა და წარმოდგენა კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 3.**

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას (ი. ლომთაძე).

**მუხლი 4.**

განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) განკარგულების მიღებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

**მუხლი 5.**

განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

იოსებ რობაქიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

# ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-75. 75242464**
თარიღი:**02/09/2024**

**,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ'' 2024 წლის 29 თებერვლის Nგ-75.75240607 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:**

**მუხლი 1.**

შეტანილ იქნას ცვლილება ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ'' ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 თებერვლის Nგ-75. 75240607 განკარგულებაში და დაემატოს:

· ქ. ტყიბულში, გამსახურდია ქუჩა N21-ში მდებარე უძრავი ქონება (ყოფილი ცენტრალური ბიბლიოთეკა) ს/კ 39.01.27.031.01.500, საწყისი საპრივატიზებო საფასური 98 000 (ოთხმოცდათვრამეტიათასი) ლარი, შემდეგი პირობით: ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვის განმავლობაში 200 000 (ორასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება, აქედან 100 000 (ასი ათასი) ლარი პირველი ცხრა თვის განმავლობაში, დანარჩენი თანხა 100 000 (ასი ათასი) ლარი მომდევნო 9 თვის განმავლობაში.

· ტყიბულის მუნიციპალიტში, სოფელ ძევრის მიმდებარედ არსებული 6024 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 39.03.39.034, საწყისი საპრივატიზებო საფასური 25 000 (ოცდახუთიათასი) ლარი, შემდეგი პირობით: 50 000 (ორმოცდაათიათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება 18 თვის განმავლობაში.

· ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსებში მდებარე 4793 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 39.07.29.130, საწყისი საპრივატიზებო საფასური 108 800 (ას რვაათას რვაასი) ლარი, პირობა „ეკონომიკური საქმიანობით დატვირთვა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში“ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ტერიტორიის მოწესრიგება და 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება 18 თვის განმავლობაში“.

**მუხლი 2.**

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას (ი. ლომთაძე).

**მუხლი 3.**

განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი,

კუპრაძის ქუჩა N11) განკარგულების მიღებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

**მუხლი 4.**

განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

იოსებ რობაქიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

**ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ქონება**

| N | ობიექტის დასახელება | მისამართი | საკადასტრო კოდი | მიწის ფართობი მ² | შენობა-ნაგებობის ფართობი მ² | საწყისი საპრივატიზებო ფასი | აუქციონის პირობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. ტყიბული, გამსახურდიას ქ. N38 ყოფილი პოლიციის შენობა) | ქ. ტყიბული, გამსახურდიას ქ. N38 | 39.01.27.032 | 2 715 | 2692.82 მ² | 300 000 | ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, მყიდველმა უნდა განახორციელოს 1 000 000 ლარის ინვესტიცია, იერსახის მოწესრიგება და ეკონომიკური საქმიანობით დატვირთვა. |
| 2 | ქ. ტყიბული, ტყვარჩელის ქ. N57 (ძველი საავადმყოფო) | ქ. ტყიბული, ტყვარჩელის ქ. N57 | 39.01.30.018 | 13 310 | 5574 მ² და 168 მ² | 350 000 | მიწის ნაკვეთის გაწმენდა არსებული ნანგრევებისაგან და ტერიტორიის მოწესრიგება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში |
| 3 | ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათში მდებარე არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელი გელათი | 39.07.31.361 | 156 | | 14 800 | უპირობო |
| 4 | ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსებში მდებარე არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელი კურსები | 39.07.29.130 | 4793 | | 108 800 | „ტერიტორიის მოწესრიგება და 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება 18 თვის განმავლობაში“. |
| 5 | ტყიბულის მუნიციპალიტში, სოფელ ძევრის მიმდებარედ არსებული 6024 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ტყიბულის მუნიციპალიტში, სოფელ ძევრის მიმდებარედ | 39.03.39.034 | 6 024 | | 25 000 | 50 000 (ორმოცდაათიათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება 18 თვის განმავლობაში. |